

# ՃԵՏՈՎՈՅԱԾ

114/3

1997



7

---

1997

# გენერალი

73-ი გვ. 73-ი გვ.

N 7

1997 წლის 1997 წლის

საქართველოს მთავრობა კავშირის მოგაცემი

## გ ვ ე პ ა რ ს ი მ

### პრეზიდენტის მიმღები

ოთარ ქეჩიძე — სიცი სამართლის ხელიცემი და პორტფელურების დასახული . . . . .	3
გვიან კვირაცხილი — ლიტერატურის და კულტურული მდგრადი სამსახური . . . . .	40
შეორები ნატონავილი — ვინ იცო ახდენარი. ამბავი . . . . .	43
დარიჯან გარებაზოლი — ლიტერატურის და კულტურული მდგრადი . . . . .	54
გვიან კრისტიანი — ლიტერატურის და კულტურული მდგრადი . . . . .	58
ნატონავ გარებაზოლი — ლიტერატურის და კულტურული მდგრადი . . . . .	60
სიცი ჭავჭავაძე — ორ ციცხლური. მოსხრობა . . . . .	61

### 160 — 0200 აბაზავაძე — 160

გვიან ნინოძე — „გვიანი განცხლილები“ . . . . .	69
გვიან კვირაცხილი — ამცვევნილი სიცი გარებაზოლი . . . . .	81

### კრიტიკა, კუპლინისტიკა

გვიან გვიანეფილი — გარე გაყავილის გარელილი. „ვეონის“ 1996 წელს . . . . .	85
გვიანი გავითარავი — გოგონა აგლორიზან.. ზოლება სიცი გარებაზოლი . . . . .	107
გვიან გვიანელი — კოლერ ნაცირაპის გოგონაგრძელი . . . . .	119
გვიან კისები — ვოიტიშვილ სატირი გაზირ „ივინის“ ურიცხვები . . . . .	134
გვიან კვირაცხილისავი — საკარივილო შერალება კავშირი 1917-1997 . . . . .	138

### გვერდები

გვერდი კახეარიძე — კონსტანტინი აღაშვილი აღმოსავლეთის ეპარ- ქიტის. ქველბერძულის თარგმნა ლილა კათარისი . . . . .	154
გვერდი მომილიძე — ვიტაზონა ალექსანდრე ჭავჭავაძის „ხიცისებირი გოსის“ მიხედვით . . . . .	161

### ვართვები, მოგონებები

ვინისონ ჩირილი — ვინისონი (ნუკვეტები წიგნიდან „ვორის განცხლით რიტ“). ვაგრძელება. ინგლისურიდან თარგმნა რუსულად შესათავები . . . . .	167
---	-----

## მოავარი რედაქტორი პრეზიდი სულაკაშვილი

ჩარედაქტორ კოლეგია:

რეზო ახაშუკელი, მარაბ ბერძენიშვილი, გურამ გვარდიშვილი, გურამ ლონაცავილი, განო კალაძია, მურმან ლებანიძე, ელგუჯა მაღრაძე, ლადო მრალაშვილი, გიორგი ნატრიშვილი, რამაზ პატარიძე, ჯანეშვილ ჩარეკვიანი, ვაჟა წირდელი (პაუხის-მგებელი მდივანი), ნინო ტალესისაძი, ოთარ ჭილაძე, ბესიძ სარანაული, რევაზ ჯავარიძე.

የኢትዮጵያ

ჩემი სავანე

କାଳିତୀର୍ଥର ଲାଭରେ ପରିଚାରିତ ହୁଏ

xx

სხეა გზა თუ არ იყო, შეახსენებდნენ, ასევე სოლომონისა, ვათომ დავიწყებოეთ, ანთუ დააცდიდნენ, — დააცდიდნენ რაღა თქმა უნდა ისევ სოლომონია, დააცდიდნენ და მოკურიალებდა ბაზონი კოლიაცა, მოიძართებოდა და მოკურიალებდა. კილარიც რო იძღვნს დააცდიდნენ, ისევ მოიწყენდა, ისევ ატყებოდა, გვეყოფა, ჩავიდოთ. და ატყება კვრევე ერთხელ ყალბიულშია. კრევე მოიწყინა და პარევა ახვეწნენ, კრევე რომ მოიუსმინეს სოლომონის იტყვაი რაძეონებრივე, — დედაჩემაც რო დაიხსავდა ზეპირადა, თუქცა რო ქულიოდა, გადოილა, მასპინძლიოდა, რადახსახლისიბდა, — კვრევე რო მოკურიდნენ, კაჯნენ, კვედრინენ, შენ მოისვეულ, აკერა შენთვისა ცალკი ითახიო, მოისვეული. უნდა წავიდეთ, არ მოისვენა, უნდა წავიდეთ, აიზირა და აიზირა, ბოლო მატარებელს მაინც უნდა მიუვსეწრიო, თბილის უნდა დავბრუნდე უსასულელო, უსიკედილოდათ, ამდამცეთ და უხიკედილოდათ, აიზირა და ავისი გაიტანა რაღა თქმა უნდა.

ზეზედადა სვამპინგ ბოლო საღლევ-  
რძელობსას, მოკლედ ასტობდნენ, რო  
აშლოდათ საღლერღლედი გრძელი თუ  
ვრცელი საღლერღლებისა ჩქა-  
რობდნენ და ფეხს ითრევდნენ, ანთუ  
აჩქარებდა და ითრევდნენ ფეხსა და  
ბოლოს მაინც ჩალაგდნენ მანქანაში, „კი-  
ლისის“ მარეს მანქანაშია, მოკლელე-  
ბულ მანქანაშია, რომ რო მოკლეო, ლა-  
მის ბრტყლინიდან რო მობრტყებულიყო,  
ჩახვდა კოთომ რო არაუცხოო, — ჩახხ-  
დნენ, ჩალაგდნენ მეტნი, კადრე რო  
ჩაიჯდომებოდა, შეიძლება რო როზვე-  
რაც მეტნი, მანქანა აფილად რო არ  
იშორებოდა, მსურველა ფოველოვის რო  
მეტი გახლდა, ყოველოვის მეტი შესაძ-  
ლებლობაზე ამ ჩვენს დაღოცვილ ქვე-  
ყანაშია. ყოველოვისა. ყოველოვისა. და  
ქვე ისაც რო არ დამაკიტყდეს, მაღი-  
ნალ რაღაც უცაჭდებოდა იმ საცილავსა,  
კეტომანქანასა, მაღინალ, რამდენჯერმე  
გაიცე ქვეშ უნდა შემძრალიყო მძღო-  
ლი, რამდენჯერმე, გრძინდან ფილერ-  
იამდისა, ტალაწილიან კორამდისა.

ଶେରୁ ଗ୍ରହାରୁ ରଣ ମେଲକୁଟୀର୍ବ୍ୟାଲିପିରୁ, ରଣ  
ପ୍ରେର ଗାଲିନ୍ଦ୍ରିଯାରୁ କ୍ଷେତ୍ରରୁ ଗ୍ରହାରୀ, ଅନ୍ତର୍ଜ୍ଞ ମେଲା  
କରୁ ଗ୍ରହାରୀ, — ଶେରିରୁ ଉନ୍ନଦା ମେଲାଗ୍ରହଣ,  
ଶାଖାଗ୍ରହଣାର୍ଥୀଙ୍କୁ ଉପରେ ଆଶ୍ରମରେ ପାରିବାରି

ପ୍ରଦୀପ ମହାପାତ୍ର.

ગુજરાતી

მერუანა და ააღწია ულელტეხილზე  
რუსისათ. ააღწია და დაგდა, დაგდა და  
შეძრა მძღოლი ქვეშა. შეძრა და ვა-  
მოძრა. შეძრა და გამოძრა. მოკარე  
ქათქათებდა და ჩახახებდნენ ვარსკვლა-  
ვნა. საათიცა სჩანდა. ახლოულებიდა  
ფაში ჟავანას ქრისტიანობისა. კოლია  
ჩერიბლა. კოლია მღლელავდა. შეძრე-  
ბიდა და გამოძრებიდა მძღოლი მა-  
ნანის ქრისტიანი რადა თქმა უნდა.

სხვები სუარისძნელი, იღლით გავგას-  
წორეთ, იღლით ჩაიარისო, თუნდაც აქ-  
ებ დავგათენდესო. ლაბლა ქრისტებდა  
ტრიარი. ელაგდა თითქოს ლიანდაგეცა  
ლ ჰის ტაშარიდან უყლისცისხებდისა. მ-  
ძერებოდა და გამოიძრებოდა მძღო-  
ლი. შეძრებოდა. ლამის კრისაც შეკ-  
ოლოდა თანა. უნცხდა ასანთხა. გრე-  
ხედ ქაღლდებდა, ჩირადღანთა თითქო-  
სო, უნაოებდა, უშეებდა. ემანე ხე-  
ლომისიც არ გააჩადოთ, ქიდე კიბრენი  
სხვანი. შეძრებოდა და გამოიძრებოდა  
მძღოლი. გაქავებულიყო ძრავი. ხან  
ქავეოდან უნხის კინებდა, ხან უცვილანა.  
გაქავებულიყო. გაქავებულიყო.

გამოიღდა ქალალდეცა. ჩათვალდებოდა  
ასანთის ღურუბიცა. გაპეხენი ბარემ ე  
პორთფელიცა, შესძახოდნენ, ამითღე  
ხელისწერები, აანთე, გააჩვევ ბარედა-  
მარ, შაინც ჟა ზეპირად იცი, რა დაგაკ-  
ლდებათ, კომენტარებიც ზეპირად იცი,  
სქელითობიცა, ევა სტამბალა გაეღობა,  
ორემ უკარისახებ და იხაა, გადაწერაც  
აღარ გინდათ. აანთე, აანთე, აანთე კო-  
ცისნოთ. ერთისობლენი და ნაწრისობლენი,  
ნეტავო აქ დაგვათუნდებოდეს, შენზე  
ჟო ახად და ჯანდაბაძ ჩვენი თავიცათ.

მუდკრიბობა და გამოიძენობლობა.

შეძვრებოდა და გამოძვრებოდა მძღოლი.

და გამოვიდა მატარებელი: ტაშირი-  
ლანა, აკარალანა, ქარელილანა. სკრაში  
იღვა და იღვა. გადასყურებდნენ. დაპე-  
რიძლნენ. იღვა. იღვა.

კოლია მანქანას ურბენდა გარშემოსა, ურბენდა, ურბენდა, მნეარებლა, მნეარებლა,

მძღვანილიც დაიძლადა. იმედიც გადაუწყდა მძღვანისა. დასხედითი, ბრძანა. რომ დატნითო, მოაწექით და მერე შემოახტითი. უღელტეხილზე იდგნენ, რუისის უღელტეხილზედა. მიაწვენ და დააკორეს. დააკორეს და შეახტენ. და დაეშვა მანქანაცა, კვრება კვრება გაქვავეცული მრავითა, დაეშვა თავდალმართზედა, რო კედარაფერი შეაჩერებდა გორგამითა.

ଏହାମ୍ବଦୀ ରାତ୍ରିରେ କୁଣ୍ଡ ମନୋଭୂଷଣରେ,  
ଶ୍ଵରୀଦେବୀରେ ପ୍ରାଣିରାଧି, ମଦଲାଲେ ଶ୍ଵରୀଦେବୀ-  
ରେ ରାତ୍ରି ଅନ୍ତରେ ଗୁଣିତା.

3 პრატისტონები თქვენა ბრძანებებით, შეიღონანდასთ, ჩემს მოყვაწებას რას ლოცვიდოდათ, უკირდა მძლოდა.

სხვები იციონდენ, იციონდენ, ამ-  
დარც რო იკავებდენ თავსა, უკი შე-  
ნაო, შენს საწილხაც ვიღაცა დაიკავ-  
და, მიდი და ჩატექი სიმრინისა და ჟი-  
ლისხრის შუაში, ახელებდენ და  
იციონდენ.

ჯერ პილიშჩონია ამ გაცხარებული-  
ყო, ჯერ ისევა მეტაბრობდნენ სიმღინი-  
თა პილიშჩინი.

ଲେଖ ଅନ୍ତର୍ଗତରେ ଶୈଖିତକ୍ଷେତ୍ରରେ, ଶେର୍ପ୍‌ଟାର୍ମିନ୍‌ସିଟି, ଶେର୍ପ୍‌ଟାର୍ମିନ୍‌ସିଟି  
ରୁହାନୀ ମେଲ୍‌କ୍ଲବ୍, ଶେର୍ପ୍‌ଟାର୍ମିନ୍‌ସିଟି: ଫିନାନ୍ସି ଶ୍ରାବନ୍ଦି,  
ଶ୍ରାବନ୍ଦି ଫିନାନ୍ସି, ଅକ୍ଷରାଳୀରେ ମାଗରୀମ ଗ୍ରେ  
ମେ ଲୋକରେଣ୍ଟର ଏବଂ ଏବଂ, — ଏବଂ ଏବଂ ଅନ୍ତର୍ଭାବ  
ପ୍ରକାଶିତ ହେଲାମୁଣ୍ଡିଲ୍‌କୁ ଉପରେ, — ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ  
ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ

არავერდი გამოსაყოფია.

და იმას ვამბობდი: უცებ გამოიცავა-  
ლა კალია კანდელაკი, ჯერ აღარ გამო-  
ნდა, რო გამოინდა, ველარ ვიცანი, ლა-  
მის ველარია. არც არავისთან შექმრებუ-  
ლა იძსტიტუტში, არც რო იმისი დღე  
გახლდა, არც შესულა აუდიტორიაში  
რაღა თქმა უნდა, მე მომქმნა, ვაღაცის  
ლექსები დამიტოვა, ვეგა აღმარტინი-  
ვამორიენით, დამიტოვა და გაბრუნდა  
მაშინევ, თითქოს რო ამისთვის ჩამო-  
სულიყვასო. გაბრუნდა და გაბრუნდა.

შერე ვაშვებიდათ ბელინსკას დალ-  
მართხედა, ცხედარს მივაცილებდათ  
კოლია კანდელაკისა. და იგრეხდა წარ-  
ბეჭა მიხეილ გოცაძე: ეს როგორია,  
როგორ უნდა აიხსნასო, პროფესიონა-  
ლავი დაიხრისო, პროფესიონალა, დო-  
ცენტრი რო ყოფილობო, კილვ პრო, —  
იგრეხდა წარბეჭა და ეკითხებოდა ხან  
ვისა, ხან ვისა.

და უცებ იქაც შეპყვირა ხისხიმა, უც-  
ებ შეპყვირა და უცებვე მოვევი გონხა,  
გონს მოვევი და გაეცალა მიხეილ გო-  
ცაძესა, რო ცურდა, რო მაინც ვეღარ  
შეიავებდა თავსა, მაინც რო შევმო-  
და მიხეილსა შეებოდა. რას იხ-  
ამ, ასე სჯეროდა მიხეილსა პრო-  
ფესიონალი რო სულ სხვა კაცი გახლდ-  
და, ღოცენტრი სხვაი, სულ სხვაი სწუ-  
ნდა, რო საერთო როახში იძინებდა.  
პროფესიონას თავისი ხაძინებელი უნდა  
პქონდესო, ამტკიცებდა, პროფესიონი  
პროფესიონია, ის სულ მუშაობს,  
ლექსიაბის, მერეცა მუშაობს, მა-  
რტო უნდა იყოს, არავინ არ უნდა აწ-  
უხებდესო. რა უშიოს ამ ქალაქერმასა,  
განა რამდენი პროფესიონი ვართ ამ ინს-  
ტიტუტში, გამოიკით როგორმე თითო  
როახი პროფესიონებისთვისაო. წუხდა  
და ბუზღუნებდა, იგრეხადა წარბეჭა,  
იგრეხდა და ბუზღუნებდა, აღბათ რო  
ულვაშებს რო იგრეხდნენ წინაპარი  
მიხნა, მომეტებულად იგრეხდნენ აღბა-  
თო, ასე რო შემოიხსა ჩეცვადა, ულ-  
ვაშებს რო აღარ იყენებს, წარბებისა-  
კონ მიერბის ხელი მიხეილხაო.

წეხდა და ბუზღუნებდა, მეტი არავე-

რი, ხმას არ აუწევდა სახავველურუზერუდა  
არა, არა, ხმას არ აუწევდა; თუმცამდემარივე  
ვდა, მხოლოდ მაშინა, რო პეცებიადა  
ოდესლაცი გაგონილ ანეკლოტებსა, ოდე-  
სლაცი, ძელიისძელებსა, თვითონვე რო  
პეცებოდა და თვითონვე იციონდა მჟა-  
ხედა, გეგონებოდა, რო ნექნები ემტვ-  
რევა.

იგრეხდა და ბუზღუნებდა.

ერთხელ შეაპარეს:

მართალხა ბრძანებო, უსათუოდ უნდა  
ცალე როახი პროფესიონსათ, უსათუო-  
დათ, უნდა მისცენო, მართალი ბრძანე-  
ბით, და არა უჭირს რა ღოცენტრებსაც  
რო გორუებონი. შეაპარეს.

შეხტა და შემოპროწიალდა მიხეი-  
ლი, შეპხტა და შემოპროწიალდა:

რას იტკეთ შერე მუშებით, რატომ  
არ ითვალისწინებთ თუ როგორ იზრდე-  
ბა მუშაობა რაოდენობა გორუშით, თუ რო-  
გორ კერ უთანასწორდება ბინამდებე-  
ლობის ტემპი, თუ რა ვითარება იქმნება  
ამის გამოი, რატომ არ ითვალისწი-  
ნებთ, რატომათ, ღოცენტრების მეტი რა-  
ტომ არავერდი გამნხილვოთ.

შეპხტა და შემოპროწიალდა:

არ იციო ქალაქიზმი თუ რა ღღემი-  
ათ. ქალაქიზმსაც გმოესარჩილა. თვა-  
თონ მი მიიღო როახი თავისთვისა, ვა-  
თომ პრ მიიღო, ღოცენტრებისათვის აღ-  
არ ემეტებოდა და გამოესარჩილა თვით  
ქალაქიზმსაც.

გამოესარჩილა და წუხდა მერე ამაზე-  
დაცა, ამდენიც არ გაეგებათო. შეწეხდა  
და ბუზღუნებდა ბუზღუნებდა და გვ-  
დი მოსხილოდა, რო ჭაღარაცდებორდა ზო-  
გიერთი, იმა რო უთეორდებორდა. შეპ-  
ხტედე ერთი ამ ჭუჭაონ ხაღ-  
სხა, შეპხტედე, როგორ გამოიწუ-  
რებიან, თითქოს მართალი რო  
სტეტაკები იყენებო. არაო, ასე არ შეიძ-  
ლებათ, — შელანძლებულს თმა არ უნდა  
გაუთეორდესო, რეცეცის თმა არ უნდა  
გაუთეორდესო, თორემ რა ხდება, კე-  
მით რა ხდებათ, ყველა პატიოსანს ემგ-  
ვანება, ყველა ბრძენს ემგვანებათ.

თმას რა ჭუჭა აქვსო, ანუგრძელებული.

შენ ვგ გვირის და ხალხი ტუშედე-

ბარ. ტეულენბარ. შენზე მეტ პატივსაც შეაგებენ. ტეულენბარ... შენზე მეტ პატივსაც... და წუხდა, წუხდა, თვითონ რო არა და არ უფირილებოდა თმაი, არა და არა, ერთი ღერიც რო არ გამორევიდა, ერთი ღერიცა, შავი, ხშირი თმა მყარია, არცა სცეიფოდა და არც უთეორ-ლებოდა; ხან თუ ბუმბული აქვებოდა ბალიშებიდანა, — მე შენ გეტვი და არ აქვებოდა საერთო ბინის ბალიშებიდანა, — აფონინიშებოდა, შეხალისდებოდა, ვინ იცის ეკება ჭაღარა არისო. ჩამო-ვარდებოდა. ბუმბული ტხალია, ჩამოვარ-ლებოდა. წუხდა. ბუზლუნებდა. და იჯ-და კაბინეტში ისტორიისა, იჯდა, იჯ-და, იჯდა, ვიდრე არ გაიცლებოდა ინ-სტიტუტი, იჯდა, იჯდა, მერე აითრევდა თავის პორთფულსა და გაემართებოდა ბუზლუნითა ბინისაკენა, საერთო ბინის-საკენა რაღა თქმა უნდა, ბუზლუნითა რაღა თქმა უნდა: წადი და დაიძინე სი-მონთანარ. რას უშლიდა სიმონი, — ფან-ჯარას მაინც პო გააღებდა, არ გაიცუ-დონი, არ გამოიხრინენ, — არც უფა-სებდა. არა. გული მოსდომოდა. არა ფა-რავდა. სიმონის პროფესორობაზე მოს-დომოდა გული. და თუ შეეღერიდა ცალკე თავისა თავისითვისა, მხოლოდ იმიტომ თუ შეეღერიდა, სიმონისაც არ გამოიყენის. იმმენდა. ალბათ რო ამიტომ იმმე-ნდა. პროფესორობაზე მაინც მოსდომოდა გული: ხერგის ამის პროფესორობაზე მოსდომოდა გული, — მიხედვისა, მიხე-დის სიმონის პროფესორობაზე მო-სდომოდა გული, — მერე აღარა გრძე-ლდებოდა, რაღვან რო სიმონის არ-აფერზე არ მოსდომოდა გული, არავისზე არ მოსდომოდა გული, ბევრსაც არა ფი-რობდა არაუკრინებდა. და გამიცემოდა... გამიცემოდა:

ერთხელ რო უცებ გასწევიტა სპეცი-თან დაწესებული საუბარი და შემომა-ნერდა.

“რო იციდე, მას მერე ვფიქრობ...” თქმა და შესწევიტა ესეცა. როდის მერემეთქმა. “ერთხელ რო მითხარი...” რა გითხარი იხეთმეთქმა.

„ანტიტერი იდალისაკენ უიხუბი, განსივე?...“ ცარიცაული შახსეოვესმეთქმა. შესაულისისა... „მეც როგორდაც... როგორდაც ეგრე მემართება თანდათანობითა... ეგრე ვი-ხრება.“

რასა პრიძნებმეთქმა.

„არა!.. არა!..“ აქტარდა სიმონი, თა-თქოს რო შეატყო, თითქოს რო შეეშინ-დი. „ნეკ ჩხუბი არ მოგვიცა!.. არა!..“ უკვე გადატეტანა ის იში პოლისხორის-დალატობმეთქმა.

„არა!.. რა ხათქმელია!.. ფატმანი სხვა, ფატმანი ცალკეა, იმის ვერ შე-ეღრება ვერავინა. ცალკეა!.. ცალკეა!.. მაგრამ რო ეფიქრობა... ჰა?! აფროდი-ტე... მა?.. ვენერა... არა?

და გავარდა ხმა: სიმონმა გასწირა ფატმანი. უდალატია. და ამტკაცებ-და, რო არ უდალატია, რო იდეალი სხვა არის და რეალობა სხვა არის, ამ-ტკაცებდა, რო ფატმანი რეალობაა, ხორ-ცელებაა და რო ვერ გაიცლებოდა ხორ-ცელებასა იდეალების გულისათვისა. ამტკაცებდა. ამტკაცებდა. გაიტაცებდა ახეთი მტკაცებანი, ძლიერ ჩაურთავდნენ თუ ძლიერ შეახსენებდნენ, არცო იმით აკლიათ ხორცელებათ და გადაყდაპავედა სიმონი ნერწყესა. გადაყდაპავედა. ფატ-მანი მაინც სხვა არისო. მაინც არ დას-იმიბდა. გადაყდაპავედა ნერწყესა.

სიმონი მაინც სიმონი გახლდა.

სიმონთანა წყდებოდამეთქმა, უაზრო შეური იქვე წყდებოდა. ეს არაური. ეს არაური...

იბმოლა რაღაც უარესი, იბმოლა, იბ-მოლა...

თუმცა მანამდე,

ბევრი რამ გამოეტოვე, ბევრი ვამშეც გამოეტოვე, ხახიათი თუ პორტრეტი ბევრი გამოეტოვე, კელავეტრის თავისი მიხეზი აქებ... ერთს მაინც უთუოდ მი-კუბრუნდები.

ჰო.

სიმონი და პოლისხორი ჰო მოგახ-სენეთ. ცხინვალიდან ჩამოგვიდნენ-მეთქმა, — მოგახსენეთ, — ტიტე სარი-ზეილიც იქდანვე ჩამოგვიმატა. ჩამოვი-ჯა და ჩამოიტანა ერთი ვეება გატენილი

პროცესუალი, ოსეთის განათლების ისტორიასა წერდა, ანუ ამზადებდა საღიტ-ტორი სამრიმა და თან დაქორენდა. რაც რო გამანდა სააშისოდა: ჩანაწერებიცა თუ შენაშენებიცა თავისი, ამინაშერებიცა გაზეობითანა თუ ფურნალებიდანა, ფორმულირებიცა უცნიძი მასალებისა, ჟკვე გამოქვეყნებული ნაწილებიცა, რაც რო მოესწორო, დაეწერო და სამორისებრინა გაზეობისა თუ ფურნალებში რაღონული-დან დაწყებული ცენტრალურ როგორი-ებამდისა, — თან დაქინდა ერთისიტყვითა, თან დაქინდა და წერდა, ანუ აგრძელებდა ნაშრომშა ცხადია, სადაც რო ღრის მოთავსებულებდა, აგრძელებ-და და აგრძელებდა, ვრასური რო კერ შეემლიდა ხელსა, რღონდ რო ღრი წარიმიძა ლექციებისთვისა და სულის-თვისაცა, — სუფრაც ჟუვარდა, ჩვენში რო დარჩეს; აგრძელებდა და აგრძელებ-და იქამდისა, რო ათასხუთას გვერდიანი ნაშრომი წარედგინა უნივერსიტეტის სა-მეცნიერო საჭირო. დაუპირუესეს დიდიათ, ამცირა და ამცირა, ამცირა და ამცირა, ცხრაას გვერდამდის დაიტანათ. მაინც დიდიათ, იძიც დაუპირუესეთი. ამის წამ-ეითხები აქ არავინ არის და შენვეის უარესიათ. ჩვენთან რო ჩამოვიდა, არ მახსოვეს თუ რა პრიცესში გახდდა ეს ნაშრომი. არ მახსოვეს, მხილოდ სისტეს ხუმრობა მანსოვეს: სამი საღიტტორო გა-მოვაო, ექვსიც საკანიდატოო, მთელს კათედრასაც რო გაუნაწილოს, ყველას ყოფილო. თან ამისა ხუმრობდა და თა-ნაც რაღაცას ამოაძრუენდა ჯიბიდან, კა-ლენდარის ფურცელი იქნებოდა თუ გა-ზეთის ამონაკერი, გამოიგადებათ. გამო-გადებათ. და იტანდა ხუმრობასა ბატო-ნი ტიტე, ხუმრობითვე ჩამოართმევდა, რაც უნდა ყოფილიყო, ჩამოართმევდა და უცუცებდა თავსა თავის პორტფულშია. და გაეხებულიყო პროფესიული ტიტესა, გატენილიყო, გაბერილიყო.

309.

მასხველებს სოხის ეს ხუმრობანი და ის პოროფულიც მასხველებ ცხადია, ის პოროფულიცა, კუველავის ისე მოხერხებულად რო ეჭირა ტიტესა, ისე მოხერხებულადათ, შეიძირე რამ სიკომლეები რო არ

Jen.

თავალწინ მიღდგას პროცესული იგი და  
უამისხოდ ვერც წარმომიდგენია ტიტე  
სარაშემდებარება, აღმართ რო განკურელიყო  
ისიხავანა, განკურელიყო, ღოვანშიაც  
რო თან ჩაიყოლებდა, აღმართა, აღმართა,  
ოუშტა ხოსტ ირწმუნებოდა, — უხაუშ-  
რდათ, უამისხოდ არც დაიძინებსთ, ვერც  
მიასცენებს უამისხოდა. და აა ერთ  
დღეს, იყნისის ერთ წენაზნა და მად-  
ლიან დღესა, აუდიტორიის ქარი შემო-  
მილო ხოსტმა და მანიშნა, გამოცდებს  
რო მორჩილ, დაგველოდეთ. დაგველო-  
დეთ. ოდინონ ეს ხოსტ უკვე სხვა ხოსტ  
გახლდა, ის ხოსტ იხვევ ხარშილაძე იყო,  
ეს ხოსტ ითხებ ბიცვაძე გახლდა, სა-  
ხელმწიფო ხავამილცილ კომისიის თავმ-  
ჯლომარედ მოვლინებულიყო, იმ დღეს  
პედაგოგიკას იძარჩებდა. ტიტეც იქ გახ-  
ლდა რაღა თქმა უნდა, მოუსკენრობდა  
უწეველოდა, მოუსკენრობდა და აჩქა-  
რებდა კომისიისა, ხტულენტებსაც აჩქა-  
რებდა. ეყითხებოდა სულმოკურქმელადა,  
თვალინებ პასუხისმადა სულმოკურქმელა-  
და, პასუხები მოსწონდა ცხადია და ქე-  
ბით ისტუმრებდა ჩამბარებლებსა, მომ-  
ზაღებაც ასეთი უნდაა. პროცესული  
ცხინვალში დარჩენილა, იმიტომაც ჩქა-  
რობდა, მოუსკენრობდა იმიტომაცა. იქ  
ეპაშმად ძირწვათ იქაური ინსტიტუტის  
დამთავრების ათი წლისთვალის აღსანიშ-  
ნავადა, იქ მოელზინა და იქვეც დარჩე-  
ნილა პროცესული. იქითვე მიერწოდებო-  
და რაღა თქმა უნდა და მიერწოდებოდა  
ისე, ღამის რო ღამახშიც გადაცვია-  
დით თუ ღამის რო მანქანა დამტკურე-  
ვინა ხოსტია, — ხოსტ ბოცვაძესა. ხოსტ  
მართავდა. მაინც შშვალიბრი მიეაღწიეთ  
შევანედ შეღებილ აღაყაფის კართანა,  
რომლის იქით რო ხოსტი მოსკენება  
დამტკურებულიყო, დაღლილი, დაქანცუ-  
ლი, დამჭარებული ხალხის მოსკენებაი,  
ოუნდაც რო მოსკენებაი მეციხენეთა,  
ერთი დღიდ შეტევა რო უკვე მოიგური-

მაკრამე ურთი რამ დამავიწყდა.

თუმცა არც დამავიწყებოდა, ნოვე-  
ლად რი ჩამეფიქტებინა ეს ამბავი, არ  
დამავიწყებოდა, თავიდანვე ჩაეხვამდი  
თავის ადგილასა, ისე ვითომცდა აქ  
არაფერიათ, ისე, ისე რაღა თქმა უნდა  
და ბოლოს გამოიკაჩნდა მოელის ძა-  
ლითა, კლვარებითა, მაგრამ ეს შეიღოდ  
მოვიწება, გასჩენებაა. და იხეც ვიგ-  
ნებ, როგორც მსხვერება.

303

როგორიც მასსენდუბამუთ.

ଏବଳି ଶୁଣିଲେ କ୍ଷେତ୍ର ଶେଖିବା ତିଥିରେବ  
ଓ ତାଙ୍କ ପିଲାନ୍ତରେବା କ୍ଷେତ୍ର କାହାରେବା  
ଅଗ୍ରମରାଜା, ଦ୍ଵାରା ଲୁହାରୁକୁ ହରିଦ୍ଵାରା, ମର-  
କିଲେବିନୀ, ଏବଂ ଦ୍ଵାରା ମରକିଲେବିନୀ, — କେତେ  
କାହିଁବିନୀରେବା, କେତେ ଦେବିକାରୁକୁ, — ଦେବ-

შების სიახლისა გვეკარო. ტიტი ურთებდა, ვერ ელეონორ, ხუმრისფრთხოები ბურადა, მაგაშიც უუღლაა ცეკვისწილებულს კაშ შეინახეო, სოსი ურჩევდა, შენახული და ღიაბანს გაგიძლებსო. ამ ამ სიცხეში ქვედ რად გინდაო, რა გაძლებანებსო. ვე შაძლებინებსო, სწორედაც ვვაო. ასეო, ისეო, არ მოიხადა ერთისიტყვითა, გვერდიდანაც არ იშორებდა თუ უნდა მოეხადა, ზრდილობისათვისა რადა თქმა უნდა — ზრდილობის წიგნიც პრ დაეწერა და რამდენჯერმედაც გამოიერა, — არა, არ იშორებდა, გვერდიდანაც არ იშორებდა, დაგებოდა და აიყოლებდა, წავაღოდა და წაიყოლებდა. პრინცესი პრინცესი და ქვედ ქვედადა. ერთიანებუნ, შერწყმულიყენენ. და კიდევ შემომილო აუდიტორიის კარი სოსი ბოკვაძება: ღლეხაცაო... ქვედ იქ დარჩენაო. მე ვიუარე, ცივად ვიუარე. ტიტეს ეწყინებაო. ეწყინება და ეწყინოს მეტქი, წუხელისაც მისავათდა ის ხალიშიმეტქი. აღარ გაუჩერდეთო, ტიტეც ასე ამბობსო. გუშინაც ასე ამბობდამეტქი. პრ იცა, მაინც არ მოვევებათ, ვიცოდი. ავტქარდი. მალე მოვათავე ჩემი გამაუდები. მაინც შევფონდი თუ მაინც ვერ გამოიხასწარი თუ რაც იყო, ის იყო, სტუდენტთა სახადილოში რო ერთად შევედით მე და სოსოთ, ტიტე ისევ, რო დანა გბილს არ უხსნისო. ჩამოვაიღენო ცხინვალიდანაც და ქვედ ჩამოიბრძანესო. შეარალებული დაცა მოსდევდათ, ისე ჩაბარერესო. დანა გბილს არ უხსნისო. მაინც რიდაცის იმედი აქვსო. აქ არ ჩამომევაო. არც წამოჰყებოდა.

3m.

როგორმეო და მერქო აღარც საღილი გინდა. აღარც სამხარიო და აღარ ვახშამიო, ურთ კერიას მაინცაო, ფტაღლაზოლითაც იღლად გახვალო. სოსო ხუმრიადა თუ ტიტება ხჯერიდა ეს ხულერთა რაღა თქმა უნდა, ტიტე იქ მაინც არ შედიოდა, სოსო მაინც შედაოდა ხილმე. იმჯერად ჩეენ შევეღოთ, — მე და ეს სოსო, ბოცაძე. მივიღო ჩეენ ჩენი უღუფაი პატარა, პაწია, პაწაწერიტელა თეუშებითა, ისე რო წეენი გადავდიოდა თითებშედა, მივიღო და მივატანეთ მაგიდასა ციმციმიდიმიდა და კაციც დაგვაღვდა თავშედა: ტიტემა, იღლეთ, არ დასხდიოთ, ისხლეთ და წამოსტყოთ, გამოიშურეთ. ვიღქით და გაუშურენით, ძირს ვინ დაუშვებდა ასეთ ბრძანებასა, — გაეშურენით. და ვისხედით მერქ პატარა ეზოში, თაღარის ქვემა, ინგველი რო ჰყვალდა ვარდი, სურნელი. ფრიად-ფრიადი, სურნელი ისეევ მრავალფრიადა.

მო.

ტიტე თამაღლიბდა. თამაღლიბდა უყარდა. უფრო მოიღენდა, რო თამაღლიბდა. ისეც მოიღენდა, ვრცელი საღლერისტლობი სხვეოდა და ვაჯიმერებოდა სხვა თუ თამაღლიბდა. იქ ისა თამაღლიბდა. არავინ არ ეცილებოდა. ღაღლობდა. მხრები გაუშალა. ღრილობრი მირაფრიალებდა ვება ხელსახიცა, ყარჩილებოვათა, გადაიხვემდა მშრალ შებლზედა, — მშრალზედა, მშრალზედა, ოფლი რო არ სხვეოდა, გადაიხვემდა და ვითოდა იხრავდა, — ასე ვატანჯები მეო. იხრავდა. იხრავდა. მღეროდა და კრიმანჭულს მოითხოვდა. ას, რატომ არა ვართ გურიაშორ. ნანობდა. ნანობდა. ერთი შეკრიმანჭულე რო გამოსხენოდა, აღარ ინანებდა, არა, აღარა, კორიც გერია - კორინებოდა. აღარ ინანებდა. სოსო საღლერისტლოს დიდი სასმისით დალევდა ხილმე, არც რი თავშემო და არც რი ბოლოშით, შეა წელშია, სუფრის შეა წელში, ეშხში რი შეეღლოდა სუფრია, — ამ სოსხები, სოსო ბოცაძისა, იმ სოსხები არა, სოსო ხარშილამისა, არა, არა, იმისათა, ისევ ღუარსაბასა, არ გამოსტრივებდა ზოგად მნიშვნელობას განათლებისა. კავკასიის ერთა კულტურული ურიერთობის ეპიზოდებს არ გამოსტრივებდა, ქართულ ზეგავლენისა არ გამოსტრივებდა რაღა თქმა უნდა, ისევ გამანათლებლებს გაიხსენებდა, ისევ ღუარსაბასა და ამ ეს განღლავთ იმისი შევიღოთ, ასე ასწევდა, გამოსცლიდა ასე სასმისისა. გორგაბისი არ იყოს, — არა სასმისის გამოსცლისას არ მოგაბენებდა, — სათქმელი არასოდეს არ გამოიღლოდა კორგაბასასა, აქედებს სხე თუ ღაპარა კიბდა, გაიხსენებდა ჰელვასსაო, გადავიღოდა მერქ გმირობასზე, მერქ გმირებზე, მერქ ისევ ჰელვასს მიუბრუნდებოდათ, ისევ გმირობასა და ისევ გმირებსაო, არაო, არაო, სათქმელი არასოდეს არ გამოეღლოდა, აქილევსნეც რი აღარაური ეთქვაო. თანამესუფრენიც იშეორებდნენ ციტატებსა ტიტეს სიტყვიდანა, ჰურზე აკერტებდნენ ღვინისა და სკამნენ ღუარსაბის მოსახხენებელსა. სოსოც შეხეკვეოდა. სოსოც აკერტებდა ღვინისა ჰურზე და იჩეჩდა მხრებსა, — ეს აუზირდებით, არა და აი ამ დღეში კვევაო. თამაღლა მიპკვებოდა თავისასა. შედიოდა და შედიოდა ეშხში, შედიოდა და შედიოდა. დაივიწევებდა პირალელსა, სურის მსახური გახლდა, მსახური თანამეიანეთა, დაივიწევებდა პირალელსა ერთისტყვითა, თვით პირთულელსაც და-

სა, მწარე ენა აქციო — დიდზე მოცემის მიღების დაერევა და ჩიმის მიღების დაერევა და მიატანის, — ამ სოსხების ურთანაბრტყვითა, სოსო ბოცაძისა, დალევდა უთულ დიდი სასმისითა და განსაკუთრებული სიტყვაპასუხითა: ეს პრ ღუარსაბ ბოცაძის შეიღლი ბრძანებათ, — და მოპკვებოდა ღვაწლსა ღუარსაბ ბოცაძისა საქართველოსა თუ ჩრდილოეთ კავკასიაში, უზრო იქითა, ჩრდილოეთ კავკასიაში, მოპკვებოდა პატარა აფებსა თუ თავებსა. თავებსა, თავისი საღიქტორი ნაშრომიდანა, მოპკვებოდა და მოპკვებოდა, მოაღვენებდა სხვათაცა აგრეთვე, ვინც რი იღვწოდნენ ღუარსაბ ბოცაძესთან ერთადა, ისევ ღუარსაბს დაუბრუნდებოდა, ისევ იმათა, თანამებრძოლთა იმისათა, ისევ ღუარსაბსა, არ გამოსტრივებდა ზოგად მნიშვნელობას განათლებისა. კავკასიის ერთა კულტურული ურიერთობის ეპიზოდებს არ გამოსტრივებდა, ქართულ ზეგავლენისა არ გამოსტრივებდა რაღა თქმა უნდა, ისევ გამანათლებლებს გაიხსენებდა, ისევ ღუარსაბსა და ამ ეს განღლავთ იმისი შევიღოთ, ასე ასწევდა, გამოსცლიდა ასე სასმისისა. გორგაბისი არ იყოს, — არა სასმისის გამოსცლისას არ მოგაბენებდა, — სათქმელი არასოდეს არ გამოიღლოდა კორგაბასასა, აქედებს სხე თუ ღაპარა კიბდა, ჰელვასსაო, გადავიღოდა მერქ გმირობასზე, მერქ გმირებზე, მერქ ისევ ჰელვასს მიუბრუნდებოდათ, ისევ გმირობასა და ისევ გმირებსაო, არაო, არაო, სათქმელი არასოდეს არ გამოეღლოდა, აქილევსნეც რი აღარაური ეთქვაო. თანამესუფრენიც იშეორებდნენ ციტატებსა ტიტეს სიტყვიდანა, ჰურზე აკერტებდნენ ღვინისა და სკამნენ ღუარსაბის მოსახხენებელსა. სოსოც შეხეკვეოდა. სოსოც აკერტებდა ღვინისა ჰურზე და იჩეჩდა მხრებსა, — ეს აუზირდებით, არა და აი ამ დღეში კვევაო. თამაღლა მიპკვებოდა თავისასა. შედიოდა და შედიოდა ეშხში, შედიოდა და შედიოდა. დაივიწევებდა პირალელსა, სურის მსახური გახლდა, მსახური თანამეიანეთა, დაივიწევებდა პირალელსა ერთისტყვითა, თვით პირთულელსაც და-

არ ვიცი თუ რამდენ გვერდშე დაი-  
ყაბულა საჭირო, საღამდის დაიტანა თუ  
საღამდის შეამცირა, დისერტაცია მაინც  
დაიცვა და პრიზეფელი მაინც ისევე გა-  
ტენილი დაპქონდა ტიტესა, სოსოც ისევ  
ისევე ურჩევდა, ორი საღოტეორო კა-  
დევ გამოივარ, ექვსი საკანდიდატოცა  
გაუნაწილე კათედრასაო, — ისევე ურ-  
ჩევდა, ეს ის სოსოც, ხარშილიაქი რაღა  
თქმა უნდა. მაგრამ მალე გაუტებდა გა-  
ლი თავას კათედრასწედა ტიტე სარი-  
შეიღნა. გაუტებდა გული. რო აირია მო-  
ნასტერი, ინსტიტუტშიმეთქი, ტიტესაც  
აერია კათედრია. აერია, მერე რა კათედ-  
რია, იძღვნი წევრიც რო არ იფრ კა-  
თედრასწედა. რამდენი დისერტაციაც რო  
გამოიცილდა იმის პრიზეფელიდანა, იძ-  
ღვნიც არაო, თუმცა შეღური და ძლე-  
ვამოსილი სახელი ერქვა, — პედაგო-  
გიისა და ფილიოლოგის კათედრაო.  
მაინც აირია, აირია და აირია. გამგე-  
ობა მოინდომა ერთმა ახალგაზრდამა,  
აყოლიდა თავასი ტიტები, — მოინდო-  
მა, აყოლიდა და გაიტანა თავისი. რო-  
გორდაც ისევთ პირობები შექმნილი-

ამისი გამოტევება მაინც არ მინდოდა. ეს წიგნი 1984 წელს დაწერა. მაშინ ტიტე ჯერ კადევ კარგ ჯავარზე იყო. რაღაც არ მოპხდა იმის შემდგომა. ისიც მოპხდა, რომ: ფანჯარა გამოიაღო ტიტე-მა და მესამე სართულიდან გაღმოვარდა ამ წევნი უბედური ფოფის გამო.

და იმას ვამბობდი, იბმოდა რაღაც უარესიმეთქი, იბმოდა, იბმოდა, იჯაჭვებოდა, იხლართებოდა, იხვლანჯებოდა, იკვლანჭებოდა, იძერებოდა, შძიმდებოდა, ძნელდებოდა კველაუკრი, კველაუკრი, საქმეცა ძნელდებოდა, ურთიერთობაცა ძნელდებოდა ახლობლებონაცაცა, რაც დრო გადორდა უფრო ძნელდებოდა, ძნელდებოდა და ძნელდებოდა, როულდებოდა, მარტივი როულდებოდა და აღვიდი ძნელდებოდა. სიტყვა ჰკარგავდა უშეალობასა, შინაარსესა ჰკარგავდა თავისასა, თითქოს უკედზა ესმოდათ კველაუკრი, აღირ ენდობოდნენ ერთმანეთსა, თანდათანისითა, თანდათანისითა რაღა თქმა უნდა, ოღონდ შესამნევე გახდა ერთბაშადა: უტრმე რო იზარდა, იზარდა, იზარდა და წამოიმართა შემშარავადა თუ გადაულიახავადა. საფიქრალი გახლდა, დიდად საფიქრალი.

მიხეილი პო ჩაფიქტულიყო და ჩაფიქტულიყო, მანამდისაცა, კველა რო ლინობდა მაშინაცა, სუსტაჩედაც პო ჩაპილებდა თავსა, თითქოს რო რაღაცა დავალესო, ისე უცებ დავალესო და პახუხსაც აჩქარებენ; პო — ისედაც ჩაფიქტულიყო, ბარემ ეს იყოს და ამან იფიქროს, ჩვენ რაღახე ვიმტკრიოთ თავით, კადეც ზუმრობასა ცდილობდა ზოგი.

ხუმრობაც გახლდა, მწარე ხუმრობაი, კათედრის დარდი რო ერეოდა მიხეილსა, ინსტიტუტის დარდი პო შთანთქავდა ერთბაშადა. რო წაქეზებულიყო, რო მიედო თავისადა. შთანთქავდა. კათედრის დარდი პო... როგორდაც კველაუკრი დარდად ექცეოდა, რო კერ გაართშევდა თავსა: ად თუნდაც რო სევერიანეს დარდი, — სევერიანეს, სევერიან ყალინჩავასი. ცნობილი ხახლიდა რაღა თქმა უნდა, მიხეილი რაო, ისეთი ხალხისათვის გაუჩენია დარდი და ისეთი ხალხი გადაუტანია თანა. მიხეილი რაო, ჯანით კერ შესწოდებოდა და ფიქრითაც კერა, ისეთი ხალხი დაუტანია ქემშა.



მაინცა სეადა მიხეილმა, სცადულულულ მოუცილებინა დარდი თავისი, კრიზა ჩამოისა რდი მაინცა, სეადა და შეპპედა ხევი-რანენსა, რაც იყო, იყო, მეტს ნუდარ გააცდენ ლექციებისათ.

სასაცილოდ არ ეყო სევერიანესა, არ ეყო. ზოგი რო სიცილითაც ვერ გამა-ძლიარა.

შეპპედა და მორჩა, მოთავდა ამითა; კელარ შებედავდა, ისევ დარდს აუ შე-ეშმევინებოდა. ისევ წარბებს თუ კეპ-თებოდა, დატრენებდა თუ დაიწინქიდა, როგორც ენება, არც ეს ეფოულდა სა-საცილოდა სევერიანესა.

სევერიანე თვითონვე პეკებოდა: ასე მითხრაო, კათედრის გამეგმაო, აცდე-ნო; მე ასე უკოხარიო, — მე მაშინ კუ-დენ რო არ ჩამოუდივარიო, შენ მაშინ აცდენ, აუდიტორიაში რო შედისარი. ასე უკოხარიო. პეკებოდა. ტრაბაბონდა. და აუბამდნენ მხარსა, სევერიანესაც აუბამდნენ მხარსა, აა ეს იყო, ეს იყო, ესა — სევერიანესაც რო აუბამდნენ მხა-რსა, თუშეცა რო ზოგი ისედაც აუბამდა მხარსა, ოღონდ გაეცინა თუ ოღონდ ჩამოუბერტეა დაღლილობაი, ჯავრი თუ დარდი თუ რაც იქნებოდა, ოღონდა, ოღონდა. და ესეც იყო, ანთუ რა იყო. უცებ სახელიც არ დაერქმებოდა, ოღონდ რო კარგი რო მაინც არ იყო, იგრძნო-ბოდა რაღა თქმა უნდა. იხლართებოდა. იხვლანჯებოდა. მძიმდებოდა. იბურე-ბოდა.

აბა, წაება:

ლექციები ცდებოდა,

სტუდენტები მარტოდაც დაღიოდნენ თელა დაღიოდნენ პრაქტიკაზედა,

გამოცდების ცხრილი ინდენიდა,

საცლეო-სამეცნიერო გეგმის შესრუ-ლება გაჭირდა,

ერთი მოაშალდა და მეორე წაება. მიე-მატა, მეხამე აპეცა, აპეცა, აპეცა, თანდა-თანისითა, — ირლევოდა განთქმული წესრიგი, გორის ინსტიტუტის განთქმუ-ლი წესრიგი ირლევოდა. თანდათანისითა. თანდათანისითა. თანდათანისითა. მიღიარება ერთი თაობით, შემდგომი მო-დიოდა, თითქოს ისეო, შეუმნიკეულადათ, უცებ შესამნევი ხდებოდა. თანდათანი-

ଦିନା, ତାଙ୍କୁଣ୍ଡାଟକର୍ମଦିନା, ଲା ପୁଅକା, ଏହି  
କ୍ଷେତ୍ରଦେଶ, ରୋଗନୀର୍ଦ୍ଦାରୀ ଅନ୍ଧାରାଦା, ଗୁରୁ-  
କ୍ଷେତ୍ର କ୍ଷେତ୍ରରେ ନାମ୍ବ୍ରାତାର୍ଥ କ୍ଷେତ୍ରଦା: ମାତ୍ର-  
ମାତ୍ରିକ୍ୟାର୍ଥ ଏଣିକେ ଏହିମାତ୍ର ହେବାର, ଫୋରମ୍ରୂ-  
ଲା ପ୍ରକଟନ୍ତରେ, ଡାମ୍ଭକିର୍ଦ୍ଦା, ମର୍ଦ୍ଦାଵେଳିକ୍ଷେତ୍ରଦା  
ମେରୁ ଏଣିର୍ଦ୍ଦୟାବା, ଏଣ୍ଟ୍ର ରାଜା ମାତ୍ରମାତ୍ରିକ୍ୟା  
କ୍ଷେତ୍ରଦେଶ, ନାମ୍ବ୍ରାତାର୍ଥ କ୍ଷେତ୍ରଦା.  
ନାମ୍ବ୍ରାତାର୍ଥ କ୍ଷେତ୍ରଦା.

ხელქვეთობი აწყდებოდნენ ერთიმე-  
ორუქა.

მერე ფულანი ადანაშაულებდნენ კათედრის გამგებება. ტკუაღად როდი ჩაფიქრებულიყო მიხეილი. კათედრის გამგებებისაგან მოითხოვდნენ განმტკიცებასა და დისცაპლინისა. კათედრის გამგებებს ესხმოდნენ თავსა ფველა სხდომასა თუ ფველა ქრებაზედა, კათედრის გამგებებს ეშუქრებოდნენ, კათედრის გამგებებს აღებდნენ სასკელისა. ტკუაღად როდი ჩაფიქრებულიყო მიხეილი: ამდენი ხანი სახელს უკურია: ხილოდებოდ, აქამდე მოვიტანე ხახელი, ჩაფიქრებულიყო.

სხვებიც თათქოს რაღაცასა ცდილობდნენ, სხვა გამგება. შევეყოფებდნენ და დატრიალდებოდნენ ისინიცა. ოღონდ ესაა, რომ კედარია ცდილობდნენ ისინიც იძლენსა გაჭირებულდებოდა თუ რო ვინძე, კედარის გააწყობდნენ, კედარის უშველიდნენ, — ისეთ მაგალითი მიუთა-თებდნენ, მხრებსიღა იჩინავდნენ კათედრის გამგება. მიუთითებდნენ, და მიუ-თითებდნენ.

ରାଜାକ୍ଷେତ୍ର ପ୍ରକାଶନୀ.

ରୋଗୀଙ୍କା ପାଇଁ

ବୀରାମି ପାଇଲୁଗା.

კიდე თუ რა ითქვას?.. რახაც რო აღ-  
რევა მოედოვნება.

და გრეგორიანული რეკტორია. და ცეცხლს გადაუყრიდა პრიორებისტორებსა თუ დეკანებსა თუ კათედრის გამგევებსა, პრიორებისტორები დეკანებსა და კათედრის გამგევებსა, დეკანები კათედრის გამგევებსა, კათედრის გამგევები წევრებსა თუ მოუხერხდებოდათ რაღაც თქმა უნდა, თითქოს ცეცხლი ეკიდა ფეხლასა, ფეხლა თითქოს რო ცეცხლს იშორებდა. მანებილი თითქოს თვითონ იწყოდა, თითქოს რო თვითონ კურარაჟის ვერ მიაყ

ରୋଦା ପ୍ରେସ୍‌ବଳ୍କ୍ସା ତାଙ୍ଗିଲାକା, ନିର୍ମିତ ଡା-  
ଇର୍କ୍‌ପାଇତ ଓ ଏହି ମେରାମେଲ୍‌ଟ୍ୟୁନିକ୍‌ରୀପର୍ସିଣ୍‌  
ଏ ଶେରିଂ ଶେରିଂଫା... ମେରିନା... ମେରିନା... ଏ  
ପିଂଚା ଲେଖିବିଲା ମଧ୍ୟାଲୋତାଲାପା, ଯିବୀଲୁ ଅର୍ଥ  
ପ୍ରେସ୍‌ବଳ୍କ୍ସା, ମେଗିଶ୍‌ଵେରିଲା ତାତିଲା, ମେଗିଶ୍‌ଵେରି-  
ଲା ଓ ଗାଗ୍ରେପା ପାଶୁଣୀ ଅର୍ଥ ଦକ୍ଷିଣ ଦେଶାବି-  
ଲେବିଲା, ଖ୍ରୀଶ୍‌ବଳ୍କ୍ସା ରାତ ତାଙ୍ଗିଲାକା ମେରିନାଦା  
ପାଲନିନ୍ଦାଜାକା, ପ୍ରାଚୀଲାଦ ତାଙ୍ଗିଲା, ଲାକ୍‌ଷ୍ମାତା-  
ରା, ରା ଏହି ଗାମରିଦ୍ଵୟବୀଳା ଅନ୍ତିକା, ଅନ୍ତି-  
କାଳା, ଅନ୍ତି ରା ବିନ୍‌କ୍ରିତ୍‌ଯୁକ୍ତିଶି ରାଜା ଅନ୍ତିମ-  
ବ୍ୟନନା ମେରିଲେବ ତାଙ୍ଗିଲାନ ରା ଗାମରିଦ୍ଵୟ-  
ବୀଳା ଓ ପ୍ରେସ୍‌ବଳ୍କ୍ସା ପାର୍ଶ୍ଵରାଦାପା, ପାର୍ଶ୍ଵରା-  
କାର୍ଯ୍ୟବ୍ୟବିଲେବିଲା, ଗ୍ରାମିନାନାଲା:

ნამისბორიძანდებოთ საბჭოს სხდომებზედა, სემესტრის შედეგები რო განიხლებოთ მხრივდა იმ სხდომებზედა;

ჩამოაძლენდებოდა ოქტომბრის დღე-  
სასწაულზე;

მათის დღესასწაულზეც ჩამოიხდან-  
დებოდა;

ուզգա Յունացական հոգին, Մարտինական մեծա-  
րիչա և մայուսական պատվագան Մարտինական, ույս  
մեծարշադարձա, և ներա ուստի նու առ զբ-  
նակազմա, անույ թարմութագանը նու առ Մա-  
րտինական առ ուս առ զբնակազմ, այսուտես ուսա.  
առա, առա, առ Մարտինական պատվագան...

JOURNAL

სხვა დროს არავი, არ ჩამობრძანდებოდა.

ଏ କେତେ ର୍ହୁକ୍କେଦି କ୍ଷେତ୍ରନାଦା, ଶ୍ରୀରାମ୍‌ପାତ୍ର-  
ଲୋ, ଶ୍ରୀଜ୍ଞବ୍ରଦ୍ଧାରୀ, କ୍ଷେତ୍ରନାଦା ରୂ ପ୍ରାପ୍ତରୀ,  
କ୍ଷେତ୍ରମେହନ୍ତୀ କ୍ଷେତ୍ରପ୍ରକାଶ ଅନ୍ଧବ୍ରଦ୍ଧା ଶ୍ରୀକଟ୍ଟନା-  
ଦା, ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣପାତ୍ରନାଦା, ଅନ୍ଧବ୍ରଦ୍ଧା ରୂ ଫାନ୍ଦା-  
ମେତେକ୍ଷେତ୍ରନାଦା ରାଧା ତମିତା ଶ୍ରୀନାଦା, ଶ୍ରୀଅଶ୍ରୁତ୍ୟ-  
ନ୍ଦ୍ରବ୍ରଦ୍ଧା ଗାନ୍ଧାରମ୍ଭଶ୍ରୀନାରାତ୍ରି, ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣବ୍ରଦ୍ଧା ଶ୍ରୀକଟ୍ଟନା-  
ଦା, ରାଜ୍ୟକ୍ରମନାରାତ୍ରି ଅନ୍ଧବ୍ରଦ୍ଧା ରାଧା ତମିତା  
ଶ୍ରୀନାଦା, ଅନ୍ଧବ୍ରଦ୍ଧା, ପ୍ରାପ୍ତି ଅନ୍ଧବ୍ରଦ୍ଧା, କ୍ଷେତ୍ର-  
ରାଜ୍ୟକ୍ରମନାରାତ୍ରି ମହାରାଜବ୍ରଦ୍ଧା କ୍ଷାତିନାଶନାରାତ୍ରି,  
ଦିନ୍ବୀ, ଶ୍ରୀଲଙ୍ଘନାନ୍ଦିନୀ, କ୍ଷାତିନାଶନାରାତ୍ରି, ଦ୍ୱାରାଜନାରାତ୍ରି

აგრეთვე მიუკენდა უფრო წალწერადა  
ქათინაურსა. მაინც უხარისძე როდესა,  
უხარისძე, შესციცინებდნენ თვალწარმ-  
შია, და მეტ უფრო ის უხარისძათ, რო  
დაურეოდა კათელის გამგება... აბა,  
აბა, კათელის გამგება, ყალიჩავაცა,  
თვით ფალიჩავაცა, დაურეოდა, აღანაშა-  
ულებდა, როგორც რო რეგეტორატი აღა-  
ნაშაულებდა, მოუწილებდა წესრიგსა,  
უანგარიშაბასა, თავდადებასა საქმისათვი-  
სა, მართდა რო წესრო, უანგარი და  
საქმიან აღმანებს მოუწოდებდა; ცხა-  
რისძლა თუ რამე კარლევეა აღინიშნე-  
ბოდა საკლეიო-სამეცნიერო გეგმაშია.  
ცხარისძლა. როგორია: ჩენ ამაში ხელ-  
ფასს გვაძლევს ჩვენი ხელისუფლებათ,  
ცხარისძლა, ცხარისძლა, თუმცა რო თვა-  
ლითაც არავის უნახავს ნაშრომი იმისი  
ცხადა და რამა თქმა უნდა; ცხარისძ-  
ლა და მით უფრო ცხარისძლა, ერთხელ  
რო საკავშირო მასტებაბითაც გახმაურ-  
და ჩენ ისხტიტუტში დაშვებული შეც-  
ლოდია... ვინდეს არა!

ჟევორიდა მერე შოთა ასანიძესა, კველა  
კველა, მაგრამ ამის რაღა უნდა, ეს  
კიდახმატებელი მარანა არის სოდა, გალიზიავათ,  
რაღა თქმა უნდა. ჟევორიდა და ვერაფე-  
რიან აეხსნა, როგორც ისიც რო კვრა-  
ფრიათ აეხსნა თუ რა დააშავა, თუ რა-  
ტომ იქცა ხაგანგაშოღა, — კერა, კერ  
აეხსნა.

ଓঁ মা শৰ্বাস্ত্রেন্দ্ৰা ক্ষেত্ৰেন্দ্ৰিসাম্পৰ্কা,  
ভৰ্তীন্থেন্দ্ৰা দা পাত্ৰীসিন্বাদা, ক্ষেত্ৰেন্দ্ৰিসাম্পৰ্কা,  
ক্ষেত্ৰেন্দ্ৰিসাম্পৰ্কা। হিংস্তাৰা ক্ৰ-  
দৃষ্টিপূৰ্ব অবিলম্বিতে সাৰ্বজ্যোৎিষণ্ডে, তা-  
জীৰ্ণ ক্ষেত্ৰেন্দ্ৰিসাম্পৰ্ক হাস্তাৰা, সাধাৰণ-  
দাত্ৰ গীলিকন্দাৰ দুষ্পৰ্য্যে, ক্ষেত্ৰে রে গীলি-  
কন্দাৰ গুৰুগুৰুমৰণ উৰতিযৈৰতৰণাৰা, সা-  
ম্পৰ্কিয়ৰে উৰতিযৈৰতৰণাৰা। হাস্তাৰা,  
ভৰ্তীন্থেন্দ্ৰা। মাঘৰাম গীৰ রে র্যাজ্যেন্দ্ৰিনৰ্কৰ্তা  
হৰিলাৰ মৌকেৰিৰে, গুৰুলাঙ্গুলা ই সুল-  
ক্ষৰণৰেছুলো অড়ামিন্দি দা অড়ান্দি উপৰে  
অৰ্পণা গুৰু শৰণাৰা, কাৰি কাৰুচ গুৰুন্দ-  
ৰণেন্দ্ৰা, ওঁ মা শৰণাৰেন্দ্ৰা তাৰিসো উৰ-  
জ্যোৎিষণ্ডে। ই উৰৰালৰ র্যাজ্যেন্দ্ৰিনৰ্কৰ্তা এন-  
গুৰুলুল, শৰ্বেন্দ্ৰিন, গুৰুমুৰুলুল, আম্বৰ-  
শৰ্বিনৰ্কৰ্তা।

ამჯერად სჭირდებოდა ჩაბაზრებისთვის  
საცა.

ଲା ମେନ୍ଦା ଠେକ୍, ଏଣ ଅପରେଟିକ୍ ହେଲେ କିମ୍ବା କିମ୍ବା  
କିମ୍ବା ଅପରେଟିକ୍.

ამას არ იშანდა, არა, არაუკითარ შექმნებენაში არ იშანდა, მაგრამ უკვე აღარ აცლილა ინსტიტუტი, აღარც იცოდა თუ კისითის მიერართა და კალეგიბმაც უჩნიეს: შენვე დაწერეთ, ვიწოდ სპეციალური საკითხით, შენ საკითხი, შენ უპირ იცი მაგისი ავაცა და კარგიცათ, შენ უკამ იცით, ჩვენ ხელს მოიწინერთთ. ურჩიეს და ჩაძევეთეს იხილა, ჩვენც ასე ვიცცევითთ, ხელვიციც ასე იქცევიანო, აბა ვაი დაგვიწერს რეცენზიებსა, ვისა ხელით ჩვენოთვისაც.

ურჩიდეს, ჩააწყვეტეს, ჩააცილდნენ, რაც  
რო შეეძლოთ, თან ინსტატუტიც არ აც-  
დიდამეთქი, აღარ აცდიდა. პაინი შე-  
იცხადა მოთამა, მორს დაკვირა, იუარა,  
გაჯიქრა, არც გამიჯუობა ეკრეთი რა-  
მე და არც გავაქმოოძი. გაჯიქრდა. გავა-  
ქრდა. იარა. იარა. ატარა ის თავისი თე-  
მა. ატარა. ატარა. არაეინ მოჟკიდა  
ხელი. კერ მოვასწრებოთ. გაგზავნა. გა-  
მოვგზავნა. დაუბრუნეს თავისზიანდა, ისევ  
იხვევა. კერ მოვასწრებოთ. აღარც აცდი-  
ლენ. დრო აღარ ითმენდა, ეს მაცდუ-  
რა არია.

ଲା କାନ୍ତିପାତ୍ର

ՀԱՅԱՍՏԱՆ

წავიდა და მიღიოდა ასე წლების გან-  
მავლობაში. ჩათვლებოლოდა, დატეკიცებუ-  
ლოდა. იმჯერად რა მოპხდა თუ ხაიდან  
დაიწყო, ძნელი ხატქერიდა, ლილიდ  
ერთი რამზე ცხადია და გამოიყარევდა,  
რო თურმე ეს თემა, შოთას თემა, არ  
შეიძლებოდა რო მიღეოთ, არ შეიძლე-  
ბოდა თურმე, იმდენობ ნაკლი ეწერა რე-  
ცენტრიდში.

ეს რამ ჩაგადენინათ, უხაყვეღურებლენ, კინ რო ზელი მოაწერეს რეცენ-

ზიათა, უსაყვედურებლენენ შოთათა ცხადია.

მაშ რა მექნაო, უკირდა შოთათა, მე პი არ ვაქებდი ჩემს ნაშრომსათ. მე ნაკლი დავწერე, ღირსება სხვებს უნდა აღენიშნათ.

ვინ სხვებსათ.

რა ვიცი... მე მაინც ვერ ვიზამდიო. ვერ ვიზამდი და იცია ახლა თაეშიო. თბილექტურიბას უქებლენენ რეცენზენტება, ანთუ ხელი ვანიცუ მოაწერეს, რო არც წაუკითხავთ ისე, კათედრასა ქიცხავდნენ, რო მაინც მითიღო. მკეთრი ღონისძიებებს მოთხოვდნენ, მკვეთრსა, გადამჭრელსა საკელეკო-სამეცნიერო მუშაობის გახაუმჯობესებლადა. საკავშირო დაფინანსებები გამოვიდა საამისოდა. შოთას რეცენზიაც ამაში მოჰყვა. მოჰყვა და იქცა მაგალითადა. ბრძანებებში მოჰყვდა, სამინისტროს ბრძანებებში. კველა ინსტიტუტს უნდა განეხოდა, ყველათა, ჩვენსას ჰა ცხადია და რადა თქმა უნდა.

და ცხარობდა კალიჩავა, ცხარობდა, ცხარობდა. ლაქა მოეცხო ჩვენს ინსტიტუტსათ. ვა სირცხვილი, ვა თავის მოჭრაო, ცხარობდა და თვალებზე იფარებდა ხელსა.

უნდა მეყითხა, თვითონ თუ როგორდა შეახრეულა თავისი თქმით, ნანობდა თუ მეუქრებოდა შოთა ასანიძე, მერე ცხადია, მაგრამ მერე რაღა დროსათ, ფალავანი თუ ასარებზე ვერც წამოაჩიქე, მერე რო გინდა ბეჭებზეც დასხო არ ჩაგროვდება გამარჯვებადათ.

არათ.

ასპარეზი დარჩენილა კალიჩავასა.

ლაქა მოეცხო ჩვენს ინსტიტუტსათ, — ვერ აუხილებოდი, მართალი გახლდა, ხოლო ის ვითომც არასუერიო, თითს რო უქნევდნენ ისტორიის კათედრის გამგება, შენთანაც რიგზე ვერ არის საქმეო, არასუერიო რაღა თქმა უნდა, კალიჩავასთვის არასუერიო, ის — თითს უქნევდნენ კათედრის გამგება, ამას ჰა არა?.. არა ცხადია!..

თქმა ამის არ შევახრეულებინა, კალიჩავასა, არც ახლა და არც არახოდება, თითს უქნევდნენ კათედრის გამგება,

ემუქრებოლენენ კათედრის უქმებები, უმუქრებოლენენ და ესეც ემუქრებოლენ, უსეც ცა...  
დარჩენილა ასპარეზი ფალიჩავასა.

ჩველა საკითხს ეხმაურებოდა. წინასწარ ხელი მაღლა ეჭირა, მე გამოვალო, ჯერ რო არაფერი ეთქვათ, ჯერ რო საკითხიც არ გამოცხადებულიყო, სულ მაღლა ეჭირა ხელი, ეტყობა ისედაცა, ჩვევად შერჩენილა, პავლიუში ცდებისა არ იყოს. აღბათა, აღბათა. ეჭირა... და... აიჭრებოდა... აიჭრებოდა და აიჭრებოდა.

ახე ვერ გასტანდა ბოლომდისა რაღა თქმა უნდა, საღლაც გაწყდებოდა მოთმანების ძაფი, რაღა საღლაცათ, საბჭოზე გაწყდებოდა რაღა თქმა უნდა, — გაწყდებოდათ და გაწყდა საბჭოზედა.

უცხო ენების სწავლებაზე გაწყდა. აქაც კალიჩავამ გამოიდო თავი, ჯერ ის წამოიჭრა, რო აღარავის აღარას აცდიდა. წამოიჭრა: ქართველი ახალგაზრდობა... რუსული ენა... საქოთაშორისი ასპარეზი. ახალგაზრდობა. უცხო ენები. ახალგაზრდობა. კათედრის როლი. კათედრი. კათედრი. მოაყოლა და მოაყოლა, ისე ცხარედა, თითქოს რო ვინშე ედავდიათ, ანთუ ესაა, აი ამან აღმოაჩინა, უნდა რო მაღლ ჩააგონოს ყველასა, ანთუ... ამახე ღლარას ვაძლი, აქამდისაც რო გაძინწყდა ძაფი... ისედაც გავჭებულდი. გავჭებულდი.

დადგენილებას დადგენილება მოჰყვებოდა. კომისიას კომისია მოჰყვებოდა. ერთს გავისტუმრებდით, მეორე დაგვადგებოდა თავსა. ინფორმაციას ინფორმაციაზე მოითხოვდნენ წერილობით ცალკე, ზეპირად ცალკე, — ხინ აქ წარუსდგებოდი, ხინ იქ წარუსდგებოდი, მოვახსენებდი, აღუთქამდი, გლებდი პირისას უფოშანოდა რაღა თქმა უნდა, ყოუმანიც რო არ შეიძლებოდა, პირობა ხერხდებოდა უფოშანოდა, შესრულება ვეღარა, ვეღარა ხერხდებოდა უფოშანოდა. ვეღარა.

მაქანური სწავლება უნდა დაგვენერიგა, რიგორიც რო ვაკალებდნენ, დაპრიურამებული მაქანური სწავლებამ, რო არც აღვიღო გვერდი, რო არც მანქა-

სები, არც პროგრამები რო არა გვექონდა, რო კერც განწყობილიყვნენ მასწავლებლები საამისიღა თუ არც რო ხევროლოდა ამისი არაფერი, — უნდა დაგვენერება, და მეც რო ისევე არა მჯეროდა ეს ახალი მეოთხო, ე. წ. პროგრესული მეოთხო, უნდა დამკერებინა ისინი, კასტელის წევრები, უნდა დამტერწმუნებინა.

იმათ სხვაგვარად ესწავლათ თუ რაც ესწავლათ, სხვაგვარადა, ისეც ახწავლიდნენ ამდენისნაია, უცებ მანქანებში უნდა ჩართულიყვნენ, ტექნიკურ საშუალებებში უნდა ჩამუშლიყვნენ, რაღაც სხვა ხერხები უნდა აუთისებინათ ენის სწავლებისა, რაღაც სხვა ხერხებზე უნდა აწყობილიყვნენ, — უძნელებელიდათ, უარისძნენ, პროტესტს გამოისთვავმდნენ კომისიების წინაშეცა. ეს უკვე აღარ შეიძლებოდა. არა, არა, არ შეიძლებოდა. გარემოდით მაინცამეთქი, ვთხოვდი განუქმდით, მოუსმინეთ, დაველოდოთ თუ რა იქნება, ხადაც რო სხვები, იქაც ჩვენამეთქი, ვთხოვდი, ვუსხნილი, მანც სხინ რო ისევ დროშია, ისევ დრო რომ გველაფერიმეთქი. უცალოთ ესეცა, უცალოთ რა იქნება, ვთხოვდი, ვარწმუნებდი, მე თვითონვე რო არა მწამდამეთქი.

და გაეხსნდი, გაეხსნდი. რო არ შექმებლი თუ არ მეხსრებოდა, იმ კოფაში ამოყენებო თავი.

### გავჭირდო.

აღარც დრო შეოუნიდა. იმათ ვარწმუნებდი, დროა კველაუერიმეთქი, მე დრო აღარა შეოუნიდა, — ჩემი საქმისათვის აღარა შეოუნიდა დროი. ჩემს საქმედ მწერლობა მიმარნდა მწერლობა მიმარნდა და ინსტიტუტი მითხვდა, მითორევდა და მითორევდა, ულმეროთლე მითორევდა, კულამდე ჩამიტანა, ნაპირი რო აღარც მომიჩნდა.

და მიეხედი ჩემს პირველ შეცდომას: კათედრის გამგეობას რო დავთანხმდი.

და მიეხედი ჩემს მური შეცდომასაცა: გაერთიანებული კათედრების გამგეობას რო დავთანხმდი.

თითქოს არ მეოუნიდა უცხო უნებისა და ლიტერატურის კათედრაი, რესული კნისა და ლიტერატურის კათედრაც რო

დავიმატე, — მიეხედი, მიეხედი კადავწყვიტებული მიეზედი, წახელაც გადავწყვიტებული მიეზედ წასელამდე, მიღად წახელამდისა, კათედრის გამგეობიდან განთავისუფლება ვიზოვე რეტრინსა. არაუცნილ არ მიპასუხა, თითქოს არც გაიგონაო. სხვები იხმო. სხვა საქმეში ჩაბა, ვიჯეპი, ვიჯეპი. გამოვედი უპასუხოდა. მერე, კარგანის მერე თვითონვე შემაჩერა დერეფანშია:

„ახლა ეს მო დაღატო იქნება?..“

მითხა ისე, რო შემამომგინა მე ამ სიტყვამა, — დაღატმა შემამომგინა.

დაღატი იქნებამეთქი.

მართლაც რო დაღატი იქნებოდა.

და რო კერ გამოვასენი თავი, გელი მაინც დავიშოშინე: ჩაიგლის ესეცა, ეს გაწამაწიაცა, მერედა გაუედგები გზასამეთქი.

და ამას მერედა მიეხედი: მესამე შეცდომაც რო ეს იყო ჩემი, მესამე და საბოლოოა.

ჩავლისმეთქი და ჩაივლიდა რაღა თქმა უნდა, როცა იქნებოდა ესეც ჩაივლიდა, მაგრამ გაეძეზრდი მანამდისა, გვერდიზიანდი. რაღაც ისეთიც მაბრაზებდა, მანამდე რო სასაცილოდაც არ მეფიულდა. მაბრაზებდა. მაბრაზებდა. ეს ვაეგბატონიც მაბრაზებდა, ეს ვაეგბატონი, — სევერიანე ფალიჩევა, უცებ საიდლანდაც რო მობრძანდა ჩენითანა, ანთუ გველგან რო გაიტენა სახელი, ანთუ გველგან რო წახსწრეს დანაშაულზედა და მერე რო ჩენითან რო ამოპერ თავი, თითქოს რო შრომა-გამასწორებელ კოლონიაშით. თითქოსა.

ეს შედარება მე არ შეკუთნის. ვალერიან რამიშეილმა თქვა. უცებ რო შეცება, უცებ რო ვიღაცას მოპერა თვალი: ამას რაღა უნდა ჩენითანა. შრომა-გამასწორებელი კოლონია პო არა ვპირო. მეც მაშინ მოკვარი თვალი იმ კოდაცასა, პირველად მაშინა, გაგონებით პო გამეონა რაღა თქმა უნდა, ვინც რო გაუმტანა ხელი ივნე ჯავახიშეიღისა, — იხიც პო იმათთავანი ბრძანებოდა. გამეონა. მერე და მერეც ბევრ რამეშიც გახლართულიყო, კოველნაირად მოუხვეჭა სახელი, კელანაირადა. და როგორ-

დაც ახეცა მხდებოდა: ჩვენთანა პგზავნიდნენ თუ ჩვენთანა აფარებდნენ კველგან მოძელებელ პიროვნებასა. მიაწნდათ, რო ეს გახდდა ყოვლად მოწესრიგებული, მოლიანი, ურვევი, ერთადერთი, გამონაკლისი, სადაც რო ჯერ არ დაოცხილიდა შხამი ინტიმებისა, საიდანაც რო არ შედიოდა დასმენები თუ საჩივრები სამინისტროსა თუ სხვა ზემდიმი ირგვნობდნენ, სადაც არავინ არავის ებრძოდა, სადაც კველი იციდა საქმე თავისი, იციდა და ახრულებდა კროგულადა, პატიოსნადა, მიაწნდათ ახე და ახეც გახდლა, მართლაც რო საქმიანი ატმოსფერი სუჟექტი, როგორც რო ატყვანი, მართლაც რო კეთილი ზეგავლენის ქვეშ ძრექვეოდა თეთო ცელმედიცა, უხეორიცა, მრეულიცა, უკეთურიცა. ძრექვეოდა და ექცეოდა. ყოველშემთხვევაში არ კძლეოდა საშუალება სიავას, არ კძლეოდა.

და ეს მანამდისა: ღროლადრო რო პგზაენიდნენ, რო პგზაენიდნენ თითო-თითოდა.

ახწრებდა ინსტიტუტი გადახარშევასა თუ მონელებასა, სათითარის, სათითარს გადახარშევასა თუ მონელებასა. ახწრებდა.

მერე რაღაც მოპხდა, სადღაც რაღაცა მოპხდა და ჩენ მოგაყარეს ერთბაშედა. ერთბაშედა.

დოდი თავე გაქვს და იტირეთ.

თღონდ მანამდე უური ურთხილინი თუ უური მცნობნი ახალმოვლენილოთა, შეაპარებდნენ ხოლმე რეტიროსა:

მატულებელ ეს საშიში რეციდივისტები და ვინ იყის თუ რა გველისო.

იმატონო, თამამად მოუგებდა რექტორი, აქ კუდს ვერავინ გააცანერებსო, მიუგებდა და სკორიდა, სკორიდა და მართალიც გახდლა, მართლაც რო ვერავის გაუცანცარებინა კუდი, ისინიც რო ისევე მიეშურებოდნენ სადგურისაკენა, სწორედ ისევე, რომელი რომელს რო გაასწრებოთ, მიეშურებოდნენ და მიეშურებოდნენ, ისევე, ისევე, რექტორიც რო ისევე გამჭურებდა და ციინოდა გვალში ისევე, ღრმადა, ღრმადა, გვალის

გვალადა: გვიც თქვენაც, გრძელებული გვერდები გაიგდებითოთა. ირბისეთ, ირბისეთ.

ვიღრე ერთბაშედ მოგვაყრილნენ-მეოქი.

ჩვენგან მიპყავდათ უკეთესები, ანთუ აღწევდნენ თანდათანიბითა, ჩარჩინილი-კენებ რო რიგორიმე თბილისში, აღწევდნენ, რჩებოდნენ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში. აღარ მირბოდნენ, აღარ მორბოდნენ, ცოტა არ იყოს მოგვალებოლდა თვალში, იმათი ქანი, იმათი რხვა, იმათებური, მოგაკლებოლდა, სხვანი სხვაგვარად მიქანაობდნენ.

სხვაგვარად.

სხვა ხალხი აირია ინსტიტუტში. შეიცვალა კაღრი ლექტორებისა, თითქოს რო ერთბაშედ შეიცვალა. თითქოს რო ფარდა ჩამოიხსნაო, ჩამოეფარა და სხვანი ტრადიტულნენ ხცნაზედაო, ჩამოიხსნა და სხვანი წარმოისდგენო, თითქოს ახე ერთბაშედა.

ეს ვაჟაბატონიც იქვე აღმოჩნდა, ფარდის უკანა, იქეც აღმოჩნდა პირეველი თუ პირველთაგანი იმათ შორისა სულ სხვა ზნეობა გინც მოიტანა. სულ სხვა, სხვაი, სხვა სუნი დაღვა ინსტიტუტში. სხვა შექები ჩართეს. აღვიღლიც იყო, მნელიც იყო, რო დაგრძნახა, რო გაქცევ-ოდი, ის გვრჩიონა.

მე ჩემთვად პო გვაბეზრდიმეოქი.

ეს ვაჟაბატონიც პო მაბრაზებდამეოქი: რაც შემეძლო თვალს ვარიღებდა, არც ვეხალმებოდა რაღა თქმა უნდა, უნიკერნიტეტში ჩადგნილი მისი ცოდვანი მაგინდებოდა, ცოდვანი ციდაათანი წლებისა, და მართლაც სადღაც გაქცევის ფინი თუ მიმიცილიდა, სხვა რო არაფერი შემეძლო. ცოდვანი. ცოდვანი. თვით ივანე ჯავახიშვილიც რო კეტებოდა აღვიღლადა, უბრალოდა, დახალუ-ჰავადა. პო... სერგო ჯორებენის ვე-ებერისელ წიგნი „ცხოვრება და ღვა-წლი ივანე ჯავახიშვილისა“ ღაერნუალადა ეს აღნიშვნელი „ქავახისამცოდნე-ობის ინსტიტუტი გვემოურ საკითხს იხილავთა — ბურეული ზედა-ლურ მეცნიერად გმომვეცხადებინა ივა-ნე ჯავახიშვილი. ამ ინსტიტუტის დი-



რეკტორის მოადგილეს თხოვნით მი-  
მართავდა ს. ყალინავა, მოხსენება წა-  
ეკითხა იქნე ჯავახიშეიღის იდეოლო-  
გიურ შეცდომათა და დამახინჯებათა წი-  
ნააღმდეგი, თუმცა იქვე საჭიროდ არა  
თვლიდა, თეზისები წარედგინა წინახ-  
წარ: თვაწყვეტილი ლანძღვა თეზისე-  
ბის გარეშეც შეიძლებოდა". ასეა აღ-  
ნიშნული, ასე დაკონტრადა და გულ-  
დინჯადა, სინამდვილეში რო უფრო შე-  
შხარეთ გახდლა რაღა თქმა უნდა, რო  
ვაგბატონი იგი, არა მხოლოდ რო თხო-  
ვნით მიმართავდა აქტო-იქითა, იდგა  
ტრიბუნაზედაც უნივერსიტეტისა და  
ფოლად ბილწი, გაუგონარი თუ განუ-  
მეორებელი სიტყვებით მოიხსენიებდა  
იქნე ჯავახიშეიღილსა.

თითქოს იგრევ გაისმოდათ.

ხმა პრ მართლაც იგრევ გახდლა:  
მკეფარი, გამყინვავი, ხან რო წივილად  
მოსქელებოდა, ჩაიხლინებოდა მერე უა-  
რალა, ხველა მოპყვებოდა, მერე ღორბ-  
ლი წამოვიდოდა და იყრეცვიდა შეცი, ი-  
ხლომახლოს რო განერება არ შეიძლე-  
ბოდა, არა, არა, არ შეიძლებოდა, —  
შემარხებიც რო გახდლა და შხამიც  
რო იყრ, ეწვოდა კანი, ვიხაც რო ღორბ-  
ლი მოპყვებოდა იმისი, პიჯაპს ჩა-  
ატანდა, ხალას ჩატანდა, ისე ეწვო-  
დათ; ხახებ ხელსახოცებ აიჟარებდნენ, —  
არ ვაზვადებ, ასე დამინახავს, ასეც  
უთქამო, მე ჩემდათავად მხოლოდ ვიხ-  
სენებ, თუმცა გაებურებულიყა, თუმცა  
მარაზებდამეთქი, მაინც არა, არ ვაზ-  
ვადებ.

და გაისმოდა,  
გაისმოდა შემარავადა.

როგორმე სმენა უნდა დაგეხში, თუ  
არაო და გაიძეგვებოდა გული.

და თითქოს სმენადანშეულიც გახდლი,  
თვალდაბინდულიცა, უცეც რო გამიჭრა  
ფური წივილმა, თითქოს გაბალთა და  
თან წიაღილი: ციის თუ არა კათელრამ,  
რესული ენა გაერთიანებული კრების  
ერთ-ერთი სამუშაოსათ.

უცეც გამწივლა და უცეცაც იდეკი:  
თითქოს ვიღამაც წამერა ხელით, — შე-  
2. „მითობა“, № 7

კათხვა მაქვსმეთქი.

ურავისული

დამთავროსო, რექტორიმა ბრძოლისამდებარებულის  
ისე მტკიცედა, რო სხვილდა,  
ვინე თუ დაურღვედა წესრიგსა, არი  
ისე მტკიცედა.

ასევე, სიტყვაშიც გამცემს პასუხსა-  
მეთქი.

შეითხოსო.

იქიდანაც მოისმა, რო აფხორილიყო,  
მხრები რო წინ წამოეზიდა, გაემაღლა  
მკლავებიცა ისე, თითქოს რო ად შექ-  
კრავს გამარისა და ვათ ვისაც რო და-  
აცხრებათ, მკითხვისო.

და ვკითხე:

წელიწადში ერთხელ მაინც თუ შე-  
დიხართ აუდიტორიაში,

თუ გიცნობენ თქვენი სტუდენტები.

და

ხელფასს მაინც რა ღრისა ღებულობრ-  
შეთქი.

## XXII

მოულოდნელი გახდლა. მოხუსხული  
ჰყავდა ყველანი, არ ელოდა ასეთ შე-  
კითხვასა. მოხუსხული ჰყავდა ყველანი.  
საბჭოს მერე თუ დემონსტრაციის მერე  
სახელდახელი ბანკეტებსა მართავდა  
რკინიგზის რესტორანში. ბათქაბუთქით  
გაპხნიალა შამპანერის ბრილებსა და  
შექეცვებდნენ ქალები. კაცები კონიაკ-  
სა ხამდნენ, თვითონ რო ქონაქს ეტა-  
ნებოდა, აუბამდნენ სხევებიცა შხარსა,  
აუბამდნენ ცნადია. ის ღრის გახდლა,  
კონიაკი რო იაფებდა ჩვენშია, დასავ-  
ლური ფილმებიც რო გამოინდა ზედი-  
ზედა, დახაულური რიმანებიც რო ითა-  
რება ზედიზედა, თუმცა რო არც რო  
უიღებდით იწუხებდნენ თავსა, წიგნე-  
ბით პრ არა და არა, მაინც აქცილოდნენ  
მოდასა, — ის ღრის გახდლა, მოდას აქ-  
ცილოდნენ, კონიაკის მოდასა, ოლონდ  
როდი რო წირპალენი მართლა ისე და-  
სავლურადა. ჰყლაპავენენ კრიბაშალა, მა-  
ტრაებელი რო მაღა ჩამოდგებოდა,  
ჰყლაპავენენ ვა ჰყლაპავენენ და ალ-  
ონდნენ გარობებში ხმაურითა, ყაფინითა,  
ზარიერიმითა, აღიონდნენ და აქცილოდა,  
ლამის რო ხელით აქცილოდ მასპინძე-

լո, ամբազւրատ և ամբազւրատ, ուռ աշօնից-  
զեղութառ ու զան ամբազւրատ, ուռ ու ամ-  
բազւրատ, անոյ հան զամեռն: այսիցզեղու-  
թառների, ամառ ուռ արը պարունքն, ներա  
կընուսան ուռ գաելունքն, ներա և ըստիւ-  
լուսան. Խորց մարտլաց ուռ աշօնիցզե-  
ծուցա.

Անոյ մոնց և սեղուցզենքն, մոնց և սեղու-  
ցզենք.

ծյան ու սեղու հայշալու ելութ:

ու սեղու դժուս գաելունք, — ծանատմիշ-  
ելութան անձաւու ինչու ուռ Մշմուղութա,  
ուռ լցուցուցա մեխանցունան ծնատմիշ-  
ելութան և ամառ ուռ ալլու աշրտմիա  
ուռ ուռ աջեցուցա, ուռ նորշառն այցեցու-  
ցա, ուռ ուռ սյու և ուռ ուռ գամունքենեցա,  
ալլու այժմուն և արը քայլուցզենքնա,  
արը քայլուցզենքնա և մուշելութա և ատա-  
շութիւ, չըն ուռ շրտսա, մեխանցունա  
նալա ույմա շնճա, մընր մշուրյա, մընր  
մշումեսա և այս մշումդումա, նորշառն ուռ  
ունցուն, մը ուռ արմիւ զայս և սատալայո  
ւնիս, ուռ արը մտնճա, ուռ զայրուց, ուռ  
արը սաշունու մտ մշուտիշցումո. այս, մետ-  
լունց ուսա ալսանինշնայ, ծնա ուռ սպուն-  
ք հայրածա, զայրա ուռ ամ զինչի զա-  
մուսւնոյու, զայրա ուռ զայմեծա մըց-  
ներնա. ուսա սիցիցուցա, չըն սմայնո  
արայշուն ուրունքն. յէ սայս զայրայութո  
զարհայրալոյտ, զայրայնա մտնչվզենթա  
ելու, և մեծաւու զաելուն, իւմպալու-  
թուց զայրածա. սատանաւու սաելուրունու  
ցինուն, ահա?.. մեծաւու զաելուն. և մո-  
մարտազնեն ուռ ույմա շնճա: սեծուց-  
նեն, չընշրեցնեն, յմուրինլուցունեն...  
յմուրինլուցունեն... յմուրինլուցունեն,  
ուսա սատիմելու ուռ ալսանինշնայ, ուռ  
մընցիւրեցնեն ուրալիւրաննա, ուռ մշե-  
պինարնեն, ուռ չըն մշումեծա զայրա-  
յն, զարհայշունամյութի:

և առ զայրալումյութի:

և արը արայն զայրալումյութի:

արը արայնա, — ուրալ նոյելունու...  
նորշառն ուրալ ու նոյելունու ամատմու մոյելու.  
նորշառն ուրալ. անոյ ունցա. ուռ շնճա  
սյուն, շնճելունա, ուռ առ զայրալու արա-  
յուն և պատշառնա ուռ ույմա շնճա, մետ-  
լունց և յայրալու ուռ զայրալու ուռ ույմա

շնճա, ուազան ուռ տուտմին լուսնումմա-  
տոյս գամինշնուռա զայրալումյութի, լուսնունյ-  
ւա և հանցայ և օկյուրյա, հանցայ, մոյե-  
նուն, և առ զայրան զայրան ուռ սազ ամու-  
շույ ու այցա. զայրան զայրան, մոյենուն. մըն-  
շնճա ուռ ծնիչո առա զայրան զայրան, և արը  
արայուն հանցան շնճենա. մոյենունն  
յշմայսա յէ շնճա ուազա ույմա շնճա.  
ուամբա յէ զանչոյա յէ նոյելուրիա, յշմա-  
յա զայրանա, զայրան ուռ սյուն, զայրա-  
ն ուռ զայրան սույրտնիւռ շնճա. զա-  
նչոյա նոյելուրիա.

և սոյուրտնիւռ և սոյուրտնիւռա. ոյուս.

գարնցալունուպ գարնցալունունա. արուն.

և նոյելունուպ ուռ պյոյ մոյելու, հայ-  
շունցալուպ առ շնճա ոյուս: մտասա սպուն-  
քա զայրան ու մոյելունուն, մոյելունցանու ու սե-  
ւու սպունցալուն մշենամմուս և սպունցա-  
նա, ինես մոյելունու, ուոյս մոյելունու,  
գորու ու սպուն սպունցալուն, մաջուն-  
նու ու սպուն, ուոյս ուռ սեղենա, հին-  
շունու ու սպուն և զայրան ամուն և սպուն ուազա  
շնճա, անոյ ու ուտոնիւ ու շնճա մոյելուն  
յէ շունցա մշեմելու և դայնանցալու յա-  
պա, մոյելունա և ալյուտյա, ալյուտյա և  
մոյելունա զայրալուրիա. սպունցալու ար-  
այշունա, առա լինալու և հալա ույմա շն-  
ճա, յայս յայրալու, զայրա զայրան հաս-  
ման ելունա ու ուռ մոտեսելու մընչըն  
առ արուն.

ուրալուն յիսա, ուռ զայրալու ուամ սանձա-  
շուն մոտեսելու, անոյ զան շնճուս արը  
մոտեսելու, — առա, մընինա, ուռ արը մո-  
տեսելու, ուամուտայու ինումարտու սայմի  
մընչընաւ: զայրա լոյկունու, մը!.. զա-  
յրա լուն և զայրա լուն, մը!.. ուռ առ լոյկու-  
մընչընելունու և լոյկունու զայրալունսա,  
զայրա լուն, մը!.. ուս ոնսա, լոյկու ալանա  
կընուն և զայրա լուն, մը!.. լոյկու ալանա  
